№ 163

ოთხშაბათი, 2 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

№ 163

ოთხშაბათი, 2 აგვისტო 1895

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ახალი ამბავი

—

დღეს, საღამოს 8 საათზედ, დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან დანიშნულია კერძო კრება, რომელზედაც მოწვეულია რამდენიმე მცოდნე პირი მწერლობისა და სცენისა, მომავალი სეზონის რეპერტუარის შესახებ მოსალაპარაკებლად. მოსაწვევ წერილში გამგეობას რეპერტუარის სიაც ჩაურთავს. სხვათა შორის, გამგეობას სურვილი აქვს შემდეგი ახალი პიესები ათამაშოს დასს ამ სეზონში: „დენიზ“ ალ. დიუმასი, „მადამ სან-ჟენ სარდუსი, „იაკობელები“—კოპპესი, „კომლი უცეცხლოდ“ თ. გ. შარვაშიძისა, „ურიელ აკოსტა“ გუცკოვისა, „Demi-Monde“ დიუმასი, ანნა «კერვილერი» ლეგუვესი, „ერთი ამბავი“ გ. ქურულისა, „უცოდველნი“ ნევეჟინისა, „სამაგიერო“ გოსლავსკისა, „ხელთათმანი“ იბსენისა. ამათ გარდა თითო პიესა „შექსპირისა“, «შილერისა», „მოლიერისა“ და „ბომარშესი» იქნება წარმოდგენილი.

*** გუშინ, შვიდს საათზედ, დილით კიდევ დაიქცა ორ-სართულიანი ფლიგელი ავლაბარში, ღვინის აღმართზედ. შენობა ძალიან შეძველებული ყოფილა, ბანიანი, ეკუთვნოდა სიღნაღელ სომეხს აჯი-მამედაშვილს. ტეხნიკების რჩევით დიდი ხანი უნდა დაეცალა სახლის პატრონს ეს ფლიგელი და სრულებით ხელახლავ აეგო. სახლის პატრონს გუშინ-წინ მუშები მიუყენებია სახლის დასაქცევათ, მაგრამ ქვედა სართულიდგან მდგმურები არ გამოუყვანია. მდგმურები ყოფილან სამი ძმა მეკუპროები, გვარად ასლამაზოვები. დილით შვიდ საათზედ მუშები ბანს ანგრევდნენ თურმე და ერთბაშად იგრიალა მთელმა ბანმა და ჩამოინგრა. ქვეშ მოჰყვნენ ორი ძმა ასლამაზოვები, მესამეს მოესწრო გადმოხტომა ქუჩაზედ. ერთი მომწყვდეული მკვდარი გამოიტანეს და მეორე დასახიჩრებული. რვა საათზედ დანგრეული სახლის სანახავად მოვიდნენ პოლიცმეისტერის თანაშემწე და გამომძიებელი, რომელიც მაშინვე შეუდგა გამოძიებას. პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა ახლავე დაეცლევინონ ყველა ძველი და საეჭვო სახლები, და სანამ ტეხნიკი არ გასინჯავს, არავინ შეუშვან შიგ.

*** ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ წელს იქაურ გიმნაზიაში დაუმთავრებია სწავლა 21 ყმაწვილს. ამათ შორის 18 ქართველია, ორი პოლონელი და ერთიც რუსი. ქუთაისის გიმნაზია თითქმის ყოველ წლივ ქართველ მოზარდ ყმაწვილებისას ასეთ დიდ პროცენტს იძლევა.

*** ს. კოდორი, (სენაკის მაზრა): შუა მაისში დათესილი სიმინდი წყალმა გადაგვირეცხა. დამლევ მაისში კვლავ დავთესეთ, მაგრამ არც ეს შეგვანარჩუნა ამ მოუსვენარმა მდინარემ. დავთესეთ მესამედ და მესამედაც იმავე დღეში ჩავცვივდით, როგორც პირველად; ხოლო იმ გარჩევით-კი, რომ რიონის მაგიერ ახლა რაღაც მატლმა გაავლო მუსრი. დავსხედით ხელებ დაბანილები, გულხელ დაკრებილნი.

*** გორი: ღამე, ოც და-ათს ივლისს, ვიღაც თავზე ხელაღებულნი მიუცვივდნენ გ. ს.—სკ ღვინის მარანში და უნდოდათ კარები შეემტვრიათ. პატრონმა შიგნიდამ ყვირილით შეატყობინა მეზობელთ თვისი განსაცდელი. ბოროტ-განმზრახველნი გაიქცნენ და თანაც დაემუქრნენ მარნის პატრონს, მალე შენს ოჯახს ავიკლებთო.

*** ბაქო: 30 ივლისი, ვისაცცოტა რამ შეძლება ჰქონდა, ყველამ თავი მოარიდეს აუტანელს სიცხეს, ბაქო დაცლიერდა. მიუხედავად ამისა ბაქოში ერთ არტისტთა დასს მეორე სცვლის. თითქმის ყოველდღე წარმოდგენები იმართება, მაგრამ მაყურებელნი ისე ცოტანი არიან, რომ გვიკვირს არტისტთა გულგაუტეხელობა.

ყინულის გამყიდავთ კარგი დროს დაუდგათ და ჰუთს ყინულს ორმანეთ ნახევრად ფყიდიან.

## კორესპონდენცია.

—

**ქიზიყი.** თუმცა ქიზიყში სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი მიწები ყველა წოდებათა საზოგადო მფლობელობის ქვეშ იმყოფება, მაგრამ არის ისეთი ადგილ-მამულები, მაგალ. ვენახები, ბაღჩა-კარ-მიდამო და სხ., რომლებიც უხსოვარ დროიდგან იმავ წოდებათა კერძო საკუთრებას შეადგენდნენ. ზოგიერთებს-კი ისეთი წარმოდგენა ჰქონიათ ქიზიყის მიწათმფლობელობის შესახებ, ვითომც აქ, ე. ი. ქიზიყში ყველა მიწები სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდნენ. სწორედ ამ შეხედულების შედეგია ის გარემოება, რომ ყველა მიწებს, სადაც-კი მმიჯნავი კომისია მოქმედებს*), სადავოდ აცხადებენ, თუნდ ეს მამულები ვისიმე საკუთრებაც იყოს. რასაკვირველია, დავის გამოცხადებით მამულები არავის ერთმევა, ეს საქმე სასამართლოში უნდა გადასწყდეს, მაგრამ სავალალოც ის არის, რომ ამ დავიდარაბას დიდი ხარჯი და წვალება დასჭირდება, რასაც მკვიდრთა მომეტებული ნაწილი ვერ შესძლებს. აქ საჭიროა შეერთებული ძალა. ამ შეერთების მნიშვნელობა ჯერ-ჯერობით სამღვდელოებას შეუგნია. 26-ს ივლისს ს. ბოდბისხევში, პატივცემული მამა დეკანოზ-ბლაღოჩინის ს. ბეგიაშვილის თაოსნობით შეიკრიბა სიღნაღის მაზრის ორი საბლაღოჩინო ნაწილის სამღვდელოება ზემოხსენებულ საგნის თაობაზედ სათათბიროდ. სამღვდელოებამ გარდასწყვიტა: ეხლავე შეუდგეს ამ საქმის შესახებ საჭირო ცნობების შეკრებას და თუ საჭიროება მოითხოვს, არავითარს ხარჯს არ შეუშინდეს, ოღონდ-კი ოფლით მორწყული საკუთარი მამულები არავის დაუნარჩუნოს. გარდა ამისა კრებამ კომისია ამოირჩია, რომელსაც მიანდო იშუამდგომლოს ვი-

*) ამ კომისიას სოფელ ანაგაში, სიღნაღის მაზრა, გამიჯვნა უკვე გაუთავებია; ეხლა ვაქირში ჰმიჯნავს მამულებს.

## ფელეტონი

—

### მუსიკას.

—

ნუ, ნუ... იწვევ სულს აჰყვავებულს ოცნების მხარეს,
სადაც ადგილი არ აქვს ურვას, არც სიმწუხარეს!
აბა რად მინდა ოცნებითა ერთს წუთს ვსტკბებოდე
და მერე ისევ ცხარე ცრემლად დავიღვრებოდე?
აბა რად მინდა შენს ჰანგებში შთავინთქმებოდე,
რა შესწყდე—კვალად შავ-ფიქრთ ზღვაში შევცურდებოდე?
ნუ... ნუ იწვევ სულს მიუწდომელს სერაბიმთ მთაზე,
ჰხედავ: მე ვსტირი—შენც დაუკარ გლოვისა ხმაზე!..

ი. ევდოშვილი.

1895 წ.

—◆◆—

### საქართველო და ძველი სპარსეთი.

(კვალი ცეცხლ-თაყვანის მცემლობისა საქართველოში).

(დასასრული *).

#### I

ასე დიდი მნიშვნელობა ჰქონია და ეხლაც აქვს კერას ქართველის ცხოვრებაში. იგი იყო ემბლემა ერთობისა, კავშირისა, მასში ცეცხლის გაუქრობლობა—ნიშანი ბედნიერებისა. კერაში ცეცხლის მოსპობა, კერის გაუქმება არის სინონიმი ოჯახის დაღუპვისა, დაქცევისა, უბედურებისა. „გაგიქრეს კერაში ცეცხლი“, „წყალი დაესხას შენს კერას“—ეს დიდ წყევლად არის მიჩნეული ჩვენს ხალხში.

გადავიდეთ ახლა სხვაზედ. ზევით ვნახეთ, რომ ზოროასტრის სარწმუნოება ჰყოფდა საგნებს წმინდად და უწმინდურად, და მასთანავე უკრძალავდა თვისს მიმდევარს უწმინდურ საგნების შეხებას. ჩვენში აქამდისინაც დარჩომილია რწუნება, რომ მოჭრილი ფრჩხილი და მოკრეჭილი თმა ცეცხლში არ ჩაიგდებაო, ვინც მოჭრილს ფრჩხილს ანუ თმას ცეცხლში ჩააგდებს, ის ჯოჯოხეთში დაიტანჯება, დაიხრუკება, როგორც ცეცხლში ფრჩხილიო. აშკარაა, ამ ძველიდგან დარჩენილის რწმუნების წყარო ცეცხლის აღსარებაში უნდა ვეძებოთ, რადგანაც ფრჩხილის ანუ თმის (ავესტის შეხედვით, უწმინდური საგნების) ცეცხლში ჩაგდებით, ცეცხლი, ეს წმინდა არსება უწმინდურდება, რისთვისაც იგი, როგორც ღმერთი, შემცოდავს ბოროტებას მიაგებს.

აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ზოგან მოჭრილს ფრჩხილსა და თმას, წინააღმდეგ ზემო თქმულისა, ან დასწვავენ ხოლმე, ანუ სადმე მიუდგომელს ალაგას დამალავენ. ამას, რასაკვირველია, თავისი საფუძველი და ახსნა აქვს, და ეს მარტო იმას ამტკიცებს, რომ ქართველს ხალხში სხვანაირ რწმუნებასაც ჰქონია ადგილი ამ საგნების შესახებ და დაუტოვებია თვისი კვალი ხალხის ჩვეულებაში. საქმე იმაშია, რომ პირვანდელის ხალხის წარმოდგენით კაცისა და საზოგადოდ ყველა ცხოველის და მათს ჩრდილსა და გამოხატულებაში დიდი კავშირი იყო: ასე რომ თუ კაცს რომელიმე კაცი ან ცხოველი დაეხატნა და შემდეგ იგი ნახატი დაეჭრა ან დაეჩხვლიტნა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ დაჩხვლეტით იგი თვით დახატულის ობიექტსაც ტკივილს აგრძნობინებდა [1]). ანუ კიდევ თუ მონადირე ჯოხზედ ანუ წყლის სასმელს გოგრაზედ გამოჰხატავდა ირემს, ზურგზედ დასმულ ისრით, მაშინ იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს ირემი ვეღარ წაუვიდოდა და მეორე დღეს უთუოდ მოჰკლავდა მას. ასეთივე კავშირი არსებობდა, ხალხის წარმოდგენით, კაცსა და ცხოველსა და მათის რომელსამე ნაწილს შორის: მაგ. თმა, ფრჩხილი, ნაცვამი ტანისამოსი, ბეწვი, ფრთა და სხ. ამიტომაც უწინდელი კაცი, როცა იგი ჯერ ველურს მდგომარეობაში იყო, ცდილობდა, რომ ან თვისი თმა, ან ფრჩხილი, ტანისამოსის ნახევი და სხ. როგორმე არ ჩავარდნოდა სხვას, მისს მტერს, და უკანასკნელს ტანჯვა არ მიეყენებინა მისთვის ხელში ჩავარდნილის საგნის დაჩხვლეტით, დაწვით ანუ კიდევ ჯადოსნობა-შელოცვით. (ეს უკანასკნელი ხომ ეხლაც ძალიან გავრცელებულია ჩვენს ხალხში).

უწმინდურად ითვლებოდა თვით დედაკაცი ორსულობის, დედათ-რიგობის და მშობიარობის დროს. ავესტის შეხედულებით დედაკაცი მელოგინეობის დროს არ უნდა იმყოფებოდეს სახლში, რომ როგორმე, „ერთის შეხედვითაც-კი“, არ შეურაცხჰყოს კერა და არ გაარისხოს ოჯახის მცველი ღმერთი. ჩვენს მთიულებში ეხლაც არის დარჩენილი ეს ჩვეულება.

«ხევსურების დედაკაცები მოიმშობიარებენ ხოლმე სოფლის მოშორებით გაკეთებულს ქოხშიო», სწერს კოვალევსკი. მშობიარობის შემდეგ დედაკაცი და ახლად-შობილიც უნდა განიწმინდნენ, ე. ი. განიბანნენ ძროხის შარდით (როგორც ავესტაც უბრძანებს თვისს მორწმუნეთ) და ისე დაბრუნდნენ სახლში [2]). ასეთივე ჩვეულებაა გავრცელებული ფშავლებში და თუშებში. „ყველაზედ უწმინდურად ფშავლებს მიაჩნიათ მელოგინე დედაკაცი, ამბობს დ. ხ—შვილი [3]). მოსალოგინებლად იმას ფშაველი სახლზედ და ბოსელზედ მოშორებით (ცალკე ქოხს უკეთებს და მელოგინე ორის კვირის განმავლობაში თავისის ახლად-დაბადებულით ამ ქოხში ცხოვრებს“. ამისსავე მზგავსს ჩვეულებას ვხედავთ საინგილოშიაც [4]).

ჩვენში დარჩენილია კიდევ ის რწმუნება, რომ ცეცხლში დანის ტრიალი არ ვარგაო; ამას უფროსნი ხშირად უშლიან ხოლმე პატარეებს და აფრთხილებენ, რომ დანის ტრიალით ცეცხლს თავი მოეჭრებაო. „ასეთს შეხედულებას, უეჭველია, კავშირი აქვს აზიურს ცეცხლ-თაყვანისმცემლობასთანაო“, ამბობს ტეილორი [5]).

როგორც თავშიაც მოვიხსენიეთ, ავესტის წარმოდგენით, ქვეყანა სავსე არის მავნე, ბოროტი სულებით, მათგან თავის დაცვას კაცი ყოველთვის უნდა ცდილობდეს. ასეთივე რწმენა ჰქონიათ (და ეხლაც არის ბევრგან დარჩენილი) ქართველებსაც. აი რას მოგვითხრობს რეინეგსი წარსულს საუკუნეში: „ქართველები ჰფიქრობენო, რომ მავნე სულები უფრო ადვილად დაეცემიან ხოლმე მშობიარობის შემდეგ, როგორც მელოგინეს, ისე ყმაწვილსაო. რომ დაიცვან ორივენი მათის ცუდი გავლენისაგან, ქართველები ამოსდებენ ხოლმე მელოგინეს ბალიშის ქვეშ მისის ქმრის ხანჯალს ანუ ხმალსა. საბანზედ ამაგრებენ წითელს ბადეს, რომლის კუთხეებზედ ჩამოკიდებულია ტყვიები, რომ ბადემ აქეთ-იქით არ გადიწიოსო. ეს ბადე იფარავს მელოგინეს და არ აძლევს მავნე სულებს საბან ქვეშ შესვლის ნებას. ორმოცი დღე არის მელოგინე ამ მდგომარეობაში და არ შეუძლია გარეთ გამოსვლა. დიდი ხიფათი მოელის მელოგინეს, თუ იგი მელოგინობის დროს ფრჩხილს ან თმას მოიჭრისო, რადგანაც შესაძლებელია, რომ ეს ფრჩხილი ანუ თმა ავს სულს ჩაუვარდესო“. ეხლაც ხშირად შეჰხვდებით მშობიარე დედაკაცის ლოგინის ქვეშ და ყმაწვილის აკვანში საჭერს, ხოლო მთელი ბადე-კი ისე ხშირად აღარ არის ხმარებაში, იმით ხანდისხან მარტო აკ-

[1]) Е. Тайлоръ. Доисторич. бытъ человѣчества и начало цивилизаціи.

[2]) Ковалевскій, I. გვ. 98.

[3]) „ივერია“ 1889 წ. № 183. სტ. „ფშავეთი და ფშაველები“.

[4]) „ივ.“ 1889 წ. № 191. „საინგილო“, ეტნოგრაფიული წერილები მოსე ჯანაშვილისა.

[5]) Доисторич. бытъ человѣчества и начало цивилизаціи.

(* იხ. „ივერია“, № 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთანაც ჯერ არს, რათა ყველა შტატის ეკკლესიების კრებულთ მიეზომოთ, როდესაც-კი ამის დრო იქნება, სამყოფი რაოდენობა სახელმწიფო მიწებისა.

თუ ამ შუამდგომლობამ ნაყოფი ვერ მოიტანა და ის მამა-პაპეული მაწები, რომლეშიც ეხლა სამღვდელოების საკუთრებას შეადგენენ, სახელმწიფოთ შეირაცხა, ისედაც ქონებრივად დაქვეითებული სამღვდელოება, უფრო მომეტებულად დაუძლურდ-დასუსტდება. გარდა ამისა ყველასაგან ცნობილია, რომ სამღვდელოების ქონებრივს დაქვეითებას მათი გონება-ზნეობრივი გათახსირება მოსდევს; ეს-კი, რასაკვირველია, სასურველი არ არის.

X.

## ჩვენნი ისტორიულნი ნაშთნი და მათი სვე.

წერილი მესამე.

მესამე წყარო ჩვენის ისტორიისა ზემოხსენებულთ ნაშთთა არის არა ნაკლები შრომა განსვენებულის ბროსესი „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში“.

ახლავე გავიმეორებ, რომ ქებისა და დიდების მცტი იმასაც, როგორც ღირს-სახსოვარს დიმიტრის, არა შეშვენის-რა!

ახალციხის თვით ციხეში კედლებში ბლომად ატანია ქვები ქართულის წარწერით, თათრულ-არაბულის წარწერით და სომხურითა.

ამ წარწერებში მე გადმოვიღე მხოლოდ ორი, რომელნიც ბროსეს არა აქვს მოყვანილი.

„ქრისტე შეიწყალე მეფე დ̃ა ბ̃გტ (დავით, ბაგრატ?) ეს არის ჩრდილოეთ აღმოსავლეთის მხრიდგან, შეჰყვებით ზემოთ და მესამე გალავნის კარს უკან უკუღმა არის ქვა ამ წარწერით და ძნელად ირჩევა სულ ხუცურად. ...მსზელს ცდ შვაბთავნდა აღშდს ყელი მის აღცხს მშობელ დსც და ნად თლი“ ეს რომ ისე დაიბეჭდოს როგორც გადმოღებულია, კარგია, მაგრამ ძნელია იმათი ამოკრა! კათოლიკების ეკკლესიაში (სად მღ. გვარამაძე ხუცესობს) ორი ქვა ერთი-კი გადმოღებულია ბროსეს, მეორე-კი არა. ეს ქვები გამოუტანიათ მოღლილის ეკკლესიიდგან, რომელსაც ეხლა სომხები იჩემებენ ძალადობით და ცბიერობით. იქ ორი ეკკლესია არის და თამარის დროს ადრე მიაწერენ.

„სახელითა ღ̃ისათა მეოხებითა წმიდაჲსა ღ̃ის მშობელისითა მე მიქელ ღირს ვიქმენ მადლსა ცისა ბჭისა აღშენებად ამინ“. წითელი ქვა არის საჯვრე და კარზედ გდია. მეორე-კი ეკკლესიაში ტრაპეზად და იქაც აქვს წარწერა. გადმოხატულია და იმისი გაცალკევება ძნელია.

დასავლეთის მხრით აწერია საფარის ეგვტერს ჯვრის გარეშემო: „სრულ იქმნა საყდარი: ესე: საძირკვლით: ვე..ლთა (ვეცხლითა?) კელითა ფარეზას (ბროს. ფარელას ემის გვერ.) ძისათა, შეუნდევნ (ბროს. შეუნდავნ. ღმერთ.) ღმერთმან. ფრთა (ქკსაფრ თვესა პირველსა რომელიც უდრის 1303 წელსა?) საკვირველებაა, რომ სამ-ოთხს წაუკითხავთ „ფარელა“-თ, იქ-კი არის „ფარეზა“ ნამდვილად, ისე კარგად ირჩევა.

ახლა კარის-ბჭეზედ დასავლეთის მხრიდგან საკრებულო ტაძარზედ.

123 გვ. ბორს.

4) სახელითა ღვთისათა მე. ოქრა ჲმან. გბცს. ძემან. შემესწირა. რკ. ბოტინატი. ზედა. საფ. ქუვდ გემ... კვიდროს. სკნი (საუკუნე?) ალაპი. სფლი(?) პირველს. დღესასწაულსა. ალვსებისა. დღეს. ვინ. ესე. გაგებული შესცვალოს. კრულმცა არს ღთის პირით.

იქ-კი ესე სწერია:

სხთ· ღსთ: მე: ოქროპმნ: გბცას ძემან შემ̃სწრა: რ̃კ: ბოტნატი:*) გ̃კს ს̃კნი: ა̃პის ფ̃ლიპს დღსსწლსა ალბსა დ̃ღს ვინ ესე გგბლი: შეცვლს კრლმც არს ღთს პრ-თ.

მე ასე ვკითხულობ, გარნა არა სრულებით და უნაკლულოდ: სახელით ღმრთისით: მე ოქროპირმან გაბცას ძემან შემოსწირა(?) ასოცი ბოტინატი საფქვლად(?) გიმკოს საუკუნოი ალაპისთვის ფილიპეს დღესასწაულსა ალების დღესა. ვინ ესე გარიგებული შეცვალოს, კრულმცა არს ღ-ის პირით. ფილიპეს დღესასწაულიც 14 ნოემბერს არის და იწყება კიდეც ქრისტიშობის მარხვაც. ცამეტ სტრიქონიანი წარწერაც ხომ ესევე არის გადმოღებული და კოჰლობით წაკითხული მაგ. კიდე: კოვნი მწნი არად მკლენი· ბროსე კითხულობს „კიდე. კეთილნი. მიწანი. არ დამიკლენ“. მე-კი „კიდე კლდოვანი მიწანი არად მოკლენი“.

ახლა გადავიდეთ ვალის ეკკლესიის წარწერაზედ, თუმცა საფარის წარწერები ბლომად დარჩა კიდევ შეუდარებელი.

129 გვ.

წ. ნებითა ღისათა მე ღთივ გვრგვნოსანმან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატოსანთ ქართველთ მეფეთ მეფის კოსტანტინეს შვილის შვილმან მეფის ბაგრატის ასულმან ათაბეგ ამირ სპასალარის სახლის რძალმან.

თითოეულის სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი უზის.

B. ნებითა ღისათა:. მე ღვთივ გვირგვინოსანის იესჲნ დავითიან სოლომონიან ბაგრატიონისა ქართველთ მეფეთ მეფის კოსტანტინეს შვილის შვილმან მეფის ბაგრატის ასულმან ათაბაგ ამისპასალარის სახლის რძალმან.

2- დედის იმედმან, მაღლად ავაშენე წმიდაჲ ესე ეკლესია, შენ ცათა მობაძავისა ვალის ღის მშობლის. რათა მცველ მფარველ გვექმნა აქა და მერმესა მას უკუნსა, მე და თანამეცხედრესა ჩემსა ათაბაგს კაიხოსროს და ძენი ჩემნი.—ყვარყვარე, მზექაბუკ. მანუჩარ თზ(?) შეწირულნი ესე სალოცავად თამარის დღეგრძელობით და მიცვენ ან და სამოთხე ვენენს(?) სასუფეველად მზდრე?

2) დედის იმედმან მეორედ აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესია შენ ცათა მუაყანებელისა ვალისა ღის მშობელისა რათა მცველ მფარველ ვუქმნას აქა და მერმესა მას საუკუნესა მე და თანა მემცხედრესა ჩემსა ათაბაგსა ქაიხოსროს და ძენი ჩვენნი ყვარყვარე მზექაბუკ მანუჩარ თუალშვენირი ივანე და თამარი დღეგრძელობით დაიცვენ ამინ. დასა მათსა ელენეს სასუფეველი დაუმკვიდრე.

3 შენ...

თევდორეს შეუნდვენ ღმერთმან სა(?)

ვახტანგ და ჰერეკლეს დღეგრძელობით . . და . . . ძმასა ჩემსა . .

. . . . . . .

. . . . . . .

. . . . . . ,

პირველსავე..

. . . ქსა: ამინ.

3. მამასა ჩემსა მეფეს ბაგრატს თანა მეცხედრესა მისსა დედოფალს ელენეს შეუნდვენს ღმერთმან ძმასა შჩემსა ერაკლეს და აშოთს ეუნდვენს ღმერთმან. დასა ჩემაა თაჳარს შეუნდვენს ღ-მან ამინ. ვახტანგ და ერეკლე დღეგრძელობით დაიცვენ ამინ. და ძმა ჩემი არჩილ აგარიანთა მიერ წარტყუენილი და ცთუნებული გაორგულებულ იქმნა სარწმუნოებასა ზედა და კულად ცავე. პირველსავე პატივსა ამინ.

ეს წარწერა, რომ შეხვალთ, სამხრეთით იქვე სვეტზედ არის სამ სვეტად, როგორც უსხედს 1, 2, 3. ახლა გადავიდეთ ზარზმის წარწერებზედ.

„ამის აღმაშენებელსა წინამძღვრის ხუცის ძესა ბარიელს შეუნდვენს ღმერთმან:

მისა დედასა, პატრონისა ილვაწნეს ასულსა გულდამ ყოფილსა გაიანეს, შეუნდვენს ღმერთმან:

მამასა შუათა ყოფილს საშოსა შეუნდვენს ღმერთმან“.

იქ-კი ასე სწერია ხელ-ჩართულით:

*) ბოტინატი—ვერცხლი რამე.

---

ვანი იქნება ხოლმე გადაფარებული. სამაგიეროდ ბადის ნაგლეჯს-კი ეხლაც ხშირად შეჰხვდებით, ასე რომ პირველ შეხედვით კაცს სულ უკავშიროდ და უაზროდ მიაჩნია ამ ბადის ნაგლეჯის შენახვა მელოგინეს ქვეშაგებზედ ან ყმაწვილის აკვანში. ყმაწვილისავე დასაცველად მავნე სულებისაგან ხალხში მიღებულია შემდეგი საშუალებანიც [6]):

მელოგინეს ქვეშაგებს და უფრო ხშირად ყმაწვილის აკვანს გარს შემოარტყამენ ხოლმე რგვლად თოკსა, ისე რომ თავი და ბოლო ამ თოკისა შეერთებულია. ეს იატაკზედ გამოყვანილი რგოლი, ეჭვი არ არის, იმას ნიშნავდა პირვანდელს, ბავშურ გონების მქონე ხალხის წარმოდგენით, რომ მელოგინეს ან ბავშვს შეუვალი გალავანი არტყია და მაშასადამე, ავი სული მათ ზიანს ვერაფერს მისცემდა. ზოგან თოკის მაგიერ მიღებულია საჩეჩელის დადგმა ახლად დაბადებულის თავით და დანიშნულება მისი ის არის, რომ ბოროტი სული, თუ იგი გაჰბედავს ბავშვთან სავნებლად მისვლას, საჩეჩელზედ დაეგება და მაშასადამე, ყმაწვილი საფრთხეს გადარჩება, უვნებლად დარჩება. ამ საშუალების გარდა კიდევ არის დარჩენილი შემდეგი: ბავშვის აკვნის ქვეშ ჰშლიან ცეცხლს, ნაკვერჩხალს და ეს ნაკვერჩხალი უთუოდ მუხის შეშისა უნდა იყოს. ამ ნაკვერჩხლის შიშით უწმინდური სული ვერ გაბედავს ყმაწვილთან მიახლოვებას.

ბავშვის დაბადების შემდეგ (ძეობა) ქართველები ლოცვით მიჰმართავენ ხოლმე მზესა, როგორც კეთილს ღმერთს (იგი ზოროასტრის სწავლით კეთილ ღმერთად ითვლებოდა, რადგანაც ცეცხლს ძლიერ წააგავდა) და სთხოვენ, რომ მან დაიცვას ახლად დაბადებული ავი სულებისაგან [7]). ეს თხოვნა-ვედრება გამოიხატება ლექსლოცვაში, რომლის მზგავსი ეხლაც დარჩენილა ჩვენში:

მზე შინა, მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო,
ვაჟის მამა შინ არ არის [8]),
მზევ, შინ შემოდიო,
ქალაქს არის აკვნისათვის,
მზევ, შინ შემოდიო და სხვ. (ნ. „Языч. рел. въ Грузіи“—„Кавк. 72 г. № 48 ნ. გამრეკელისა).

ავი სულების განსადევნელად, დასამარცხებლად, მათთან საბრძოლველად, ზოგ ალაგას, ქორწილის დროს ეხლაც არის მიღებული შემდეგი ჩვეულება: როდესაც ახლად ჯვარდაწერილები ბრუნდებიან სახლში, კარებთან რამდენიმე მაყარი დგება, კარის ქუდზედ ჯვარადინად ხანჯლებს იჭერენ და ისე შეჰყავთ ნეფედედოფალი. ხანჯლების შიშით ახლად ჯვარ-დაწერილებს მავნე სული სახლში არ შეჰყვებათ, ფიქრობს ხალხი. მაგრამ შესაძლოა, რომ სახლში იყოს სადმე მიმალული ეს ბოროტი სული. ამიტომ, შედიან რა სახლში და სიმღერით კერას გარშემო უვლიან, მაშინაც ამოღებულ ხანჯლებს იქნევენ. ქიზიყში მინახავს, რომ ამ შემთხვევისათვის სახლში კაკლით ან თხილით სავსე ქილებს დაჰკიდებენ ხოლმე; ხანჯლის ქნევის დროს ამ ქილებს ამტვრევენ და კაკალი ჩხრიალით ჩამოდის დაბლა. კაკლით სავსე ქილების დაკიდება, სხვათა შორის, უეჭველია, იმით არის გამოწვეული, რომ ხანჯლის ქნევის დროს ჩხრიალი დაიწყოს და ამ ხმით შეშინებული მავნე სული განიდევნოს სახლიდგან.

თვით ცეცხლი უპირველესი საშუალება და იარაღია კაცისათვის მავნე სულებისაგან დასაცველად. როცა მგზავრად წასული კაცი ღამით ბრუნდება სახლში, ცოლი ან სხვა ვინმე ეგებება კარებში და იმის შემოსვლის დროს ანთებულს მუგუზალს კარებს გარეთ ისვრის, რითაც იგი ვითომ და ნებას არ აძლევს მავნე სულს, რომ იგი მგზავრს სახლში შემოჰყვეს. ასეთივე ჩვეულება დარჩენილია სვანეთშიაც, იმ განსხვავებით-კი, რომ იქ წასვლის დროს დაუგდებენ ხოლმე ფეხებ ქვეშ ანთებულს მუგუზალს. „როდესაც ოჯახიდგან ვინმე მიდის მგზავრათ, კარში გასვლამდის მას ფეხებს ქვეშ ანთებულს მუგუზალს დაუგდებენ. მგზავრი მუგუზალს გადააბიჯებს, იქვე წაღმა დატრიალდება და პირჯვრის წერით გზას დაილოცავს. ამავე ჩვეულებას ასრულებენ ყოველთვის, როდესაც მონადირე სანადიროთ მიდის, ან ოჯახიდგან რაიმე შესაწირავი, შესალოცავი მიაქვთ ეკკლესიაზედ. პირველს ორს შემთხვევაში მგზავრს და მონადირეს მავნე სული არ მიეკარება, უკანასკნელს შემთხვევაში-კი მოკიდებული მუგუზალი ხალხს განწმენდის საშუალებად მიაჩნია [9]). ჩვენს სოფლებში და ქალაქებშიაც დარჩენილია შემდეგი საინტერესო ჩვეულება: დიდმარხვის უკანასკნელ კვირიაკის ოთხშაბათს საღამოს ტაშტის კაკუნით უვლიან სახლსა და ეზოს. ხშირად ნაცარსაც აბნევენ ხოლმე ამ შემოვლის დროს, ასე რომ სახლსა და ეზოს გარს ნაცრის რგოლი ერტყმება. შემდეგ ამისა რამდენსამე ალაგას ანთებენ ცეცხლს და ამ ცეცხლზედ ხტებიან, როგორც პატარები, აგრეთვე დიდებიც. გადახტომის დროს გაჰყვირიან შემდეგ სიტყვებს: «არი ურული-ურული, ურული კუდიანებსა». დანიშნულება ცეცხლზედ ხტომისა და იმის შემდეგ თოფების სროლისა არის განდევნა, მოშორება მავნე სულებისა, კუდიანებისა, თავიდგან აცილება მათის მაცდურებისა. ამ ძველადგან დარჩენილს ჩვეულებას ჰქვიან კუდიანობა ანუ ჰიაკოკონობა. [10])

კულტურული მზგავსება ირანისა და ძველის საქართველოსი დარჩენილა ჩვენ დრომდის იურიდიულს სფერაში და მღვდელ-მოქმედებაშიაც. პირველს შემთხვევაში საგულისხმიეროა ეგრედ წოდებული მდუღრით და შანთით ანუ გაცხელებული რკინით გამოცდა (გამოტეხა) დამნაშავისა. ეს გამოცდა, როგორც მას ვახტანგ VI, სჯულ-მდებელი აგვიწერს, საკვირვლად ემზგავსება ავესტაში მოხსენებულს და იგი ძველი ირანის სჯულ-მდებლობიდგან არის შეთვისებული, გადმოტანილიო, ამბობს მ. კოვალევსკი, და არა Русская Правда და Новгородная судная грамота დგან გადმოღებული, როგორც შეცდომით ჰფიქრობს ბაქრაძეო. [11])

საღმრთო მოქმედების აღმასრულებელ ქურუმთა და ჩვენი ფშაველების ხევისბერების და ხევსურების დეკანოზებს შუა ხომ დიდი მზგავსება არის. მოვიყვანთ ჯერ ჰეროდოტეს სიტყვებს ირანელების მსხვერპლ-შეწირველობაზედ: „დასჭრის რა მსხვერპლად შეწირულ ცხოველს ასო-ასო და მოჰხარშავს ხორცს, იგი (ირანელი) მიწაზედ ჰშლის ქორფა ბალახს, ხშირად უფრო იონჯას და მაზედ აწყობს ხორცსა. როდესაც ის ყვე-

[6]) ზოგიერთს ალაგას მშობიარობის დროს თოფებსა სცლიან, განსაკუთრებით, თუ მშობიარობა ძნელად მიმდინარეობს და ამით ცდილობენ მიზეზი ამ სიძნელისა—ავი სული, თოფის ხმით განდევნონ.

[7]) მზეს, როგორც კეთილისა და მშვენიერების ღმერთს, დიდი მნიშვნელობა ჰქონია და კვალიც დაუტოვებია ქართველების ცხოვრებაში. ჩვენში მიღებულს ფიცს: „ჩემმა მზემ“, „თქვენმა მზემ“, აგრეთვე ხალხში დარჩენილი—„ამომავალი მზის მადლმა“ და სხ... აქაც აქვს საფუძველი. აქედგანვე წარმოსდგა მნიშვნელობა სიტყვა მ ზ ი ს ა, როგორც პიროვნების ღირსების აღმნიშვნელი, თვისების უმაღლესობის მაჩვენებელი: მ ზ ი ს დ ღ ე—კვირა დღე, მ ზ ი ა ნ ი პ ი რ ი—ლამაზი პირის სახე, მ ზ ე კ ე თ ი ლ ო ბ ა—ბედნიერება, მ ზ ე ო ბ ა ანუ მ ზ ო ბ ა—მშვენიერობა, ე ნ ა მ ზ ე ო ბ ა—მჭევრმეტყველობა და სხვ...

[8]) „ვაჟის მამა შინ არ არის, მზევ, შინ შემოდიო“... ამ სიტყვებით, თითქოს ის არის გამოთქმული, რომ მამის შინ მყოფობა უშლიდეს მზეს სახლში შემოსვლას. ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: საქართველოში, როგორც ბევრგან სხვაგანაც, ღმერთად მიჩნეული მზე იყო მდედრობითი სქესისა—იგი იყო ქალწული ღმერთა, ღმერთა კეთილისა და მშვენიერებისა და როგორც ქალწულს, ხალხის წარმოდგენით, რასაკვირველია, მორიდება და თავაზი უნდა ჰქონოდა მამაკაცისა. და აი ამისათვის არის ნათქვამი ამ ლექსში: „ვაჟის მამა შინ არ არისო“... ე. ი. სულ ქალები ვართ სახლში და ნურავისი გეთაკილებაო, შემოდი შინაო.

[9]) „ივერია“ 1886 წ. № 146, სვანების ზოგიერთა ჩვეულებანი და ცრუ-მორწმუნოებანი—სვანისა.

[10]) О народныхъ праздникахъ и праздничныхъ обыкновеніяхъ христіанскаго населенія—на Кавказѣ. „Кавказъ“ 1855 г. №№ I, 2 и т. д. აგრეთვე „Картвельскія повѣрья“—М. Джанашвили, стр. 30.

[11]) Зак. и Об. на Кавказѣ, стр. 100.

„ამისა: აღმაშენებელსა: წინამძღვარსა: ჭურცის ძესა გაბრიელს შეუნდვნეს ღმერთმან

მისა: დედასა პატრონისა ივანეს ასულსა გულდამ ყოფილსა გაიანეს შეუნდვნეს ღმერთმან

მისა მამასა: შოთა ყოფილსა: შიოს შეუნდვნეს ღმერთმან".

ეს წარწერა არის მარჯვნივ მხრით ეკკლესიის კარებამდის სულ ორის არშინის სიმაღლეზედ და დაუზრკოლებლივ გაირჩევა ძლიან. კარებჰეზედ წარწერა აქვს, მაგრამ გალესილია და უნდა ისიც გადირეცხოს და აღდგეს ის წარწერანი. ეგვტერის შესავალშივე არის წარწერა ერთ ქვაზედ და დანარჩენი-კი არსადა სჩანს.

ახლა მოვიხილოთ სამრეკლო, რომელიც ხელ-შეუხებლად დარჩენილია. შიგ არის ეკკლესია იოანე მახარებელისა, ეხლა ჯამედ აქვთ გადაკეთებული, ჩრდილოეთით აქვს მიდგმული ეგუტერი ამ შესანიშნავის წარწერით ეგუტერს ჩრდილოეთისავე კედელზედ:

ქ. სახელითა ღვთისათა, და წმიდისა ღის მშობლისა მეოხებითა, მე ივანე ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდაჲ ეგვტერი მას ჟამსა ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშველა წმიდათა მეფეთა და ჩვენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა სკლიაროსი გავაქციეთ. მე მას ქვეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ეს უშენა ტახტი

იქ-კი ისე იკითხვის:

ႱႨ. სახელითა ღმრთისათა (ღმთა) და წმიდისა ღ̃ის მშობლისა მეოხებითა მე ივანე ძემან სოლომონისმან. (სულს̃მნ) ႱႨ აღვაშენე წმიდაჲ ესე ეგუტერი მას ჟამსა ოდეს საბერძნეთ განუდგა (გა̃დგა სკლიაროსი: დავით კურაპალატი ადიდნა ღმერთმან უშველა წმიდათა მეფეთა და ჩვენ ყველანი ან ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა სკლიაროსი გავაქიეთ (გავიქციეთ) მე მას ქუეყანასა რომელსა ჰქვიან ხარსანნი ადგილსა რომელსა ჰქვიან სარვენისნი მონეს უყენა ტახტი

| | |
|---|---|
| დასა:.. | და ღა... |
| და დიმ... | და უიმ... |
| შთაუ... | შაა უფ... |
| საადა... | სადა... |
| ეგვტერი... | ვე ექტვრი... |
| უფლთა... | ოჯლთა.. |
| ობლთა... | ობლთა.Ⴇ.. (ეს რაცს პირველი ნაწილია ხუცურ.) |
| სულიერთა... | სულიერთა... |
| და იოხე... | და იდხე... |
| ძმისა ჩვენ | მმ ჩს არ̃ნ (მამა ჩემსა რომელმან |

ეს ნახევარი ქვა ამ ათის სტრიქონით მაშინვე ყოფილა დაკარგული. აბა ახლა იმავე სამრეკლოს წარწერა აღმოსავლეთის მხრით შევადაროთ.

„წ. აღეშენა წმიდაჲ ესე ეკკლე„სია სახელსა ზედა წმიდისა იოანე „მახარებელისა, ნებითა ღთისათა და ბრძანებითა ყოველს ქვეყანასა სახელგანთქმულისა აგარიანთ პირის დამყოფელისა ხარცაძისა ჰნსაფიაისათა, სამსჯსსა, ენანს და შეუნდვნენ ღმერთმან მღვდელთ-მთავართ მთავრობაჲსა ხრცაძის იოსებს მტყისა სპნისსა. ქქს სჲე.

ოროლი წერტილია სიტყვის შემდეგ:

Ⴁ: აღეშენა წმიდაჲ ესე ეკკლესიაჲ ჯრი ႱႨ ქსი სახელსა ზედა წმიდისა იოვანე მახარებელისა ნებითა ღუთისათა და ბრძანებითა ყოვლისა ქუეყანისა (ყ̃ა ქუ̃ნისა) სახელ-განთქმულსა აგარიანთა პირისა დამყოფელისა ხურც ძისა პანკრატოვანისა ფარსმანისითა (პ̃ნისა ფა̃ნისითა) სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდვნეს ღმერთმან მღვდელთ-მთავართ მთავრობასა ხუცისა ძისა პატიოსნის მიტროპოლიტის იოვანესა სპანისასა ქკ̃რ სჲე, (ხუც̃ა: ძისა; პ̃ნის: მ̃ტ: იე̃სა: სპნისსა).

ეს ქორონიკონი არ უნდა იყოს სწორე, რადგან სკლიაროს წინაღუდგა ბასილს (ბულგაროქტონს 976 წელს) დავით მეფობდა 983—1001 და ამ წლებშია აშენებული ეგუტერი სკლიაროსის აჯანყება რომ არის მოთხრობილი. სჲე უდრის 1041, როდესაც დავით კურაპალატი აღარ იყო და გამოდის, რომ სამრეკლო მას უკან არის აშენებული, რაც ყ̃დ წარმოუდგენელია და დაუჯერებელი, ამიტომ რომ ეგუტერის ერთი კედელი სამრეკლოს კედლით არის ავსებული—სამი კედელი აქვს აშენებული, ასე რომ აქ ს მაგივრად უნდა იყოს „რ", რომელიც უდრის 941 წელსა. მაინცა და მაინც მე ყოველი ეს მიმინდვია ჩვენი ისტორიკოსებისათვის და იმ მომავალ „მოგზაურთა ძმობისათვის", რომლის სალმრთო ვალად უნდა შეიქმნას შესწავლა სამშობლო ქვეყნის და საისტორიო თხზულებათა შესწორება. მე მგონია საკმარისია, რომ თვითოეული დარწმუნდეს თუ რამდენად საფუძლიანია ჩემი გულითადი მოწოდება, შეთხოვა ყოველთადმი [illegible] წოდებისა და სქესისა. დამიფაროს ღმერთმან ვისმე უმადურობისაგან. რაჲცა შეეხება სმადის ეკკლესიასა, სრულებით არა აქვს მოხსენებული არავის, ვგონებ, თუ არა ვსცდები.

აი იმის წარწერაც. „ამა: ეკლესისა: აღმშენებელს: ერისთვის: შაბურის: ძესა: მაწყვერელ: მთავარ კათალიკოზს (მთ კზს): შიოს: და: მშობელთა მისთა შეუნდვენ: ღმერთმან: რომელმან ქ. სახელითა: ღვთისათა: აეშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაშიო მაწყვერელ ებისკოპოზ. მიერ კუესისა (კეისრისა?) ზეობასა ქრისტე განუსვენე სულსა მშობელთა მისთასა" ეს იქ უნდა ქრ̃კს: რ მ გ: რომელი უნდა იყოს ახლა (921 წელი თუ 1453 წ?) მიმინდვია ჩვენის ისტორიკოსებისათვის. მე მხოლოდ მოგახსენეთ ის, რაც ვნახე და ვიგულისხმე. უნდა გაჩვენათ როგორ არიან ჩაწმახნული ეს ასოები და სხვანი მრავალნი წარწერანი, რომ ერთი ასო ორია და მთელი სიტყვა. ცოდვაა ეს ხელოვნება დაიკარგოს და უყურადღებოდ დაიღუპნენ, რაც აქამდის ყოფილან და ეხლა ჩნდებიან. ბევრი ამისთანა იქნება გამოტოვებული სხვა კუთხეებშიაც.

ვინმე ხუცესი.

26 ივლისი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გაზ. „ტაიმს"-ში ფრიად საყურადღებო წერილი [illegible] გაზ. ,,ჰონკონგ ტელეგრაფ''-იდგან. [illegible] ეკუთვნის ერთს ჩინეთის გავლენი[illegible] და შეეხება ევროპის ცივილიზაციას, აი რა აზრისაა [illegible] წერილისა [illegible] ლების შესახებ:

ვიდრე ჩინეთში უცხოელნი შემოვიდოდნენ, ჩვენ სრულიად ბედნიერად და კმაყოფილად ვცხოვრებდით. მაგრამ გადმოვიდნენ თუ არა ჩვენს მიწა-წყალზე უცხოელნი, დაიწყო დაუსრულებელი ტანჯვა და შევიწროება ჩვენი. ნეტა, რატომ თავს არ დაგვანებებენ? სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ამ „დასავლეთის ბარბაროსებთან" დამოკიდებულება გვაქვს —ასე ეძახდნენ მათ ჩვენნი წინაპარნი,—და ამ დროს განმავლობაში ყველაზედ სუსტიც და ყველაზედ უშემწეო ერიც ჩვენ აღმოვჩნდით მთელს დედამიწის ზურგზედ. თვით ზეცის შვილს, ჩვენს იმპერატორსაც-კი არ შეუძლიან რაიმე ნაირად მოგვაშოროს ეს უცხოელნი. მაშინ, როდესაც დასავლეთ-ევროპიელნი ჯერ ისევ ნადირთა ტყავში გამოხვეულნი ტყე-ტყე დაძრწოდნენ, ჩვენ განათლებულნი ვიყავით და ჩვენი ვაჭრობა ჰყვაოდა. ევროპიელთათვის დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენ კარგად და ახალ წესსზედ შეიარაღებული მხედრობა არა გვყავს. დღემდის ქვეყნიეროებას დავიპყრობდით, რომ ჩვენ ევროპისთანა მხედრობა გვყავდეს. მაგრამ ჩვენთვის ქვეყნიერობა საჭირო არის. ჩვენ ამ ხმელეთის ნახევრითაც კმაყოფილნი ვართ, ოღონდ თავი დაგვანებონ ამ ჩვენს ადგილზედ. ჩვენ ძლიერ მომთმენი ხალხნი ვართ და დიდხანსაც შეგვიძლიან ყოველგვარ შევიწროებისა და გაჭირვების ატანა. მაგრამ ჩვენც მოგვეწყინდება ამდენი მოთმენა, ხელს გამოვიღებთ და მთელს ქვეყანას დავიპყრობთ, აღვგვით დედამიწის პირიდგან ყველაფერს და მილიონობით მცხოვრებთა შორის რუსეთში და ინდოეთში ჩვენს ძველს მაღალს კულტურას გავავრცელებთო.

---

ლა ამას მოამზადებს, მაშინ მივა ხოლმე მოგვი და იწყობს ღმერთების დაბადებაზედ ჰიმნის გალობას (ჩვენებური დამწყალობნება). უმოგვოთ სპარსელებს არ შეუძლიანთ მსხვერპლი შესწირონ. შემდეგ ყველა ამისა შემწირველი იღებს ხორცს და სურვილისამებრ ხმარობს". [12]) ყველა ამას დიდი მზგავსება აქვს ჩვენის მთის ხალხის მსხვერპლ-შეწირვა და დამწყალობნებასთან, ხოლო უფრო რა არის ღირს შესანიშნავი, ეს ისაა, რომ ძველი სპარსელების მოგვთა უფროსის სახელი — „დასტური", ხევსურეთში შეუცვლელად დარჩენილა, მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ ეს „დასტური" უფროს დეკანოზს ან ხევის ბერს-კი არ უდრის, იგი რომელიმე ხატის უბრალო მოსამსახურეთაგანია, იგი ხევის ბერის თანაშემწეა, მისი ხელ-ქვეითია.

ძველი გეოგრაფის სტრაბონის მოთხრობა სპარსელების მსხვერპლ-შეწირვაზედ ეთანხმება ჰეროდოტეს აღწერას, მხოლოდ იმას-კი უმატებს, რომ როცა მოგვნი ჰგალობენ ლოცვებს, მაშინ მათ ხელში უჭირავთ გამხმარი მირსინის ჩხირების კონაო. თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ უკანასკნელს სიტყვებს, რომ მოგვებს ლოცვის დროს ხელში ეჭირათ გამხმარი ხის ჩხირები და აგრეთვე იმასაც, რომ იგინი „ცეცხლში ჰყრიდნენ ხმელს ტოტებს, რომ ცეცხლი არ გამქრალიყო და თანაც ლოცულობდნენ", [13]) მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება ჩვენი ხალხის შემდეგი ჩვეულება: ახალ-წლის დილით, როდესაც მეკვლე სახლ'ში შემოდის, ჩვეულებრივის მილოცვის შემდეგ („შემოვდგი ფეხი და სხ.) მიდის ცეცხლთან, რომელშიაც წინათვე შეკეთებულია დიდი მუგუზალი, რომ ერთ კვირამდის მაინც გასძლოს, და უწყებს ჩიჩხლვას ესე იგი, პატარა მუგუზლით ან უბრალო ჯოხით დაუწყებს ხახუნს დიდს მუგუზალს. ამ ჩიჩხლვის, დროს მრავალი ნაპერწკალი ადის მაღლა და ამ დროს მეკვლე-კი ნატრობს მაღალის ხმით: ღმერთო, მომეცი ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა, ცხენი, ღორი ქათამი და სხ... ესევე იქცევიან სახლობის ყველა სხვა წევრებიც დიდიდგან პატარამდე.

დასასრულ საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მ. კოვალევსკის აზრი ერთის თქმულობის შესახებ, რომელიც ქართველების კაცის-მჭამლობას შეეხება და შეტანილია მეფე ვახტანგისაგან „ქართლის-ცხოვრებაში" და ვახუშტისაგან თვისს „ისტორიაში" და გეოგრაფიაში. ქართლის ცხოვრებაში არის შემდეგი თქმულება: „დაიპყრეს (ქართველებმა) სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა, რამეთუ ცოლქმრობისათვის არა უჩნდით ნათესაობა და ყოველსა სულიერსა სჭამდეს. საფლავი არა იყო, მკვდარსა შესჭამდეს." [14]) ამ თქმულებას ყველა ქართველი მეისტორიე შეეხო და თავისებურად ახსნა. ბროსსე ამბობს: „მე მჯერა ქართლის ცხოვრების სიტყვები ცოლქმრობაში ნათესაობის შერევაზე ურიების ჩვეულების მაგალითით და მკვდრის დაუმარხაობაზედ ცეცხლის თაყვანის მცემელთ მიბაძვით. მაგრამ მეძნელება დავიჯერო, ვითომც იბერიელთ ოდესმე ჩვეულებად ჰქონოდეთ კაცის მჭამლობა. [15])" ასეთივე აზრისაა ბატონიშვილი თეიმურაზი, რომელსაც საყურადღებო მოსაზრებანი მოჰყავს და თავისებურად ჰხსნის ქარ-ცრ. სიტყვებს. [16]) დიმ. ბაქრაძეს აზრით „ქართლის ცხოვრების" თქმულება ქართველთაგან ადამიანის მსხვერპლზედ და მათ მიერ კაცის ხორცის ჭამაზედ, არ ეწინააღმდეგება არც ბუნების კანონსა, არც მსოფლიო ისტორიას, თუმცა დასაჯერებელი არ არის, რომ ჩვენნი წინაპარნი ამ ჩვეულებაზედ მდგარიყვნენ ქრისტე'ს უახლოესს საუკუნოებში. იმ დროს იმათ ისე ჰქონდათ დამყარებული სამოქალაქო წესი, ისეთს ხარისხზედ იდგნენ იგინი გონებითაც და ზნეობითაც, რომ ყოვლად შეუძლებელი საქმეა, რომ მხეცურს თვისებას მაშინ ადგილი ჰქონიყოს" [17]). ქართლის ცხოვრებას" ხშირად ისტორიულ დროში ის ფაქტები აქვს შემოტანილი, რაც ისტორიის წინა დროს ეკუთვნისო. მოთხრობა კაცის მსხვერპლზედ და კაცის მჭამლობაზედაც ერთი ამ ისტორიის წინადროინდელი ფაქტიაო.

გადავიდეთ ეხლა კოვალევსკის მოსაზრებაზედ ქართველების კანიბალობაზედ—კაცის მჭამლობაზედ. ნათესაობის შერევის შესახებ ის ამბობს როგორც ბროსსე, რომ ეს ისტორიული სიმართლეაო. მას მოჰყავს კლაპროტის სიტყვები დიდოელებზე, რომ იმათში ნათესაობას ყურადღებას არ აქცევდნენ და „შეირეოდნენ ნათესავობის განურჩევლად" და სხ.. ესევე საფიქრებელია იმ ქართველებზედაც და იმ დროს, როდესაც იგინი ცეცხლ-თაყვანისმცემელნი იყვნენ, რადგანაც ეს სარწმუნოება არამც თუ არ უკრძალავდა, აკანონებდა კიდეც ნათესაობაში ცოლქმრობას. [18]) რაც შეეხება იმას, რომ ქართველებში „საფლავი არ იყო, მკვდარსა შესჭამდეს," ამაზედ იგი ამბობს შემდეგს: თუშეთში და ხევსურეთში მოგზაურობის დროს მაღალ მთის წვეროებზედ მე შემხვდა რამდენიმე მიწაში გამოთხრილი სასაფლაო სახლებიო. მათ ისეთი მოწყობილობა ჰქონიათ, რომ მკვდრის სხეული მიწას არ ეკარებოდა, ქვებზედ იდვა, რომ არ შეებილწა გაეუწმინდურებინა დედა-მიწა, ეს წმინდა არსება ავესტის შეხედულებით. (ასეთივე მოწყობილობა ჰქონდათ ძველს ცეცხლთაყვანის მცემელ სპარსეთში სასაფლაოებსაც) ამისთანა სასაფლაოებში აწყობდნენ მკვდრებს, რომლებსაც მხეცი და ფრინველი ადვილად უდგებოდა და სჭამდა. მკვდრები მიჰქონდათ აღმორჩეულს კაცებს, რომლებიც მიტანის შემდეგ უნდა განწმენდილიყვნენ, როგორც ძველ სპარსეთში. მივიღებთ რა ამნაირს დასაფლავებას მხედველობაში და იმასაც, რომ მკვდრებს თავისუფლად უდგებოდნენ მხეცები და ფრინველები შესაჭმელად, შემდეგს დასკვნას დავადგებითო: 1 ქართველ მემატიანეთაგან აღნიშნული ფაქტი, რომ ქართველები არა მარხავდნენ მკვდარს მტკიცდება ხევსურეთში დაშიენილ ნიშნებიდგან. 2, რაც შეეხება კაცის ჭამას, ეს მარტო იმას ნიშნავსო, რომ ქართველები, როგორც ცეცხლის ალსარების მიმდევარნი, არ მარხავდნენ მკვდრებს, არამედ გაჰქონდათ შორს დანიშნულს ალაგას, სადაც ნადირი და ფრინველი სჭამდა მათ. ამ ნაირად ხსნის კოვალევსკი ქართ-ცხ.—სიტყვებს: „საფლავი არ იყო, მკვდარსა შესჭამდეს" და დაუჯერებელ ამბად მიაჩნია ქართველებში ოდესმე კაცის მჭამლობის არსებობა. ეს მით უფრო საფიქრებელიაო, რომ ქართველებში, როგორც ეს დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ეხლა, უწინ ცეცხლთაყვანის მცემლობა გავრცელებული ყოფილა და ცეცხლის ალსარება-კი სასტიკად უკრძალავს თვისს მიმდევართ კაცის ჭამას.

—

ყოველივე ზემო თქმულიდამ ცხადათა სჩანს, რომ ცეცხლის ალსარება გავრცელებული ყოფილა საქართველოში და მას აშკარა კვალი დაუტოვებია ქართველის ცხოვრებაში. ჩვენ ამ სტატიაში მოკლედ შევეხეთ მარტო ერთს სფერას—ხალხის რწმენა-ჩვეულებებს და ვნახეთ, რომ ბევრს ამ ჩვეულებებში გამოსჭვრეტს ზოროასტრის სარწმუნოების გავლენა. უეჭველია, რომ ხალხურ ჩვეულებებს გარდა ცეცხლის ალსარების ზედგავლენას, მისს კვალს შესამჩნევი ალაგი ეკავება ხალხის ზეპირ-სიტყვაობაშიაც, ზღაპრებში, ლექსებ-ანდაზებში და სხ., რასაც უკანასკნელების შესწავლა ცხად'ად დაგვანახვებს.

ბ. ფ—ძე.

95 წ. მარტი.
ს. ვეჯინი.

[12]) Всеоб. Ист. Веберъ, т. I, стр. 392.

[13]) Ленорманъ, გვ. 163.

[14]) ქართ-ცხ. გვ. 25. ვახუშტის ისტორია გვ. 35. გეოგრაფია გვ. 6.

[15]) ისტორია საქართველოსი—დ. ბაქრაძესი გვ. 130.

[16]) იხ. მისი ისტორია გვ. 51-55. აგრეთვე ისტორიული ნარკვევი გვ. 137-140.

[17]) ისტ. საქარ. გვ. 131-133. ისტორიული ნარ. გვ. 233.

[18]) Зак. и об. на Кавказѣ ст. 90.

# უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიაში გარდაიცვალა გამოჩენილი სწავლული და წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიისა ფრიდრიხ ენგელსი. ენგელსი დაიბადა 1818 წელს ბარმენში და სწავლის შემდეგ თვის მამას ეხმარებოდა ვაჭრობის საქმეში. სხვათა შორის, რამდენიმე ხანს ინგლისში იყო მამის სავაჭრო ფირმის ხელმძღვანელად და იქ შეაგროვა დიდძალი მასალა მუშათა შესახებ. ამ მასალით ენგელსმა ისარგებლა და 1845 წელს ლეიპციგში დასტამბა შესანიშნავი წიგნი: „მუშათა მდგომარეობა ინგლისში." ამ თხზულებას მთელმა ევროპამ მიაქცია ყურადღება და მალე მეორეთაც გამოიცა. იმავე დროს ენგელსი სწერდა სოციალურ საგნების შესახებ რუგესა და მარქსის ჟურნალში „Deutsch-französische Jahrbucher." 1855 წელს ენგელსმა გაიცნო ბრიუსელში კარლ მარქსი, რომლის დაახლოვებულ მეგობრად იყო სიკვდილამდე (1883წ.). მარქსთან ერთად ენგელსმა გამოსცა ცნობილი „მანიფესტი პროლეტარიატთა მიმართ." 1848—49 წლებში ენგელსმა მიიღო მონაწილეობა გერმანიის რევოლიუციაში და როდესაც ეს მოძრაობა მოსპობილ იქმნა, გაიქცა ინგლისს, საიდანაც მწერლობის საშუალებით ავრცელებდა სოციალისტურს იდეებს. უმეტეს ნაწილად მისი წერილები იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიის გაზეთ „Varwärts"-ში. 1887 წელს გამოვიდა მისი მეორე თვალსაჩინო თხზულება: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს გენეზისი." დიდი შრომა გასწია ენგელმა თავისის მეგობრის კარლ მარქსის გამოჩენილის თხზულების რედაქციისა და გამოცემისათვის. კარლ მარქსმა მოასწრო მხოლოდ პირველის ტომის გამოცემა თვისის „კაპიტალისა", შემდეგის ორის ტომისა მან მხოლოდ მასალა დატოვა შეუმუშავებელი. ფრიდრიხ ენგელსმა იკისრა და ორივე ტომი გამოსცა რიგიანად შემუშავებული. ენგელსის სიკვდილით გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ შესანიშნავი ტეორეტიკი დაჰკარგა.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

ბატ. რედაქტორო! უკანასკნელ „კვალის" ნომერში დასტამბულია ბ. ქუჯის წერილი, რომელსაც ძალიან გაჰკვირვებია, რომ ჩემი წიგნების განცხადების სიაში მოთავსებულია შექსპირის პიესა „ჭირვეული ცოლის მორჯულება" ჩემ თარგმანათ და არა ბ. ქუჯისა. მოკლეთ მოვახსენებ ბ. ქუჯს, რომ მისი თარგმანი ღმერთმა მას და მის ამხანაგებს მოახმაროს და მე კი მსურს ჩემი თარგმანი მქონდეს და კიდეც ვსთარგმნე. გასაკვირველი ბ. ქუჯისათვის აქ არაფერი უნდა იყოს და მე-კი ორი რამ მაკვირვებს: „საიდგან იცის ბ. ქუჯმა, რომ მისი ნათარგმნი დაიბეჭდება და არა ჩემი, მეორეც, თუ ბ. ქუჯს, სიყმაწვილის და უცოდინარობის გამო, არსად გაუგონია, რომ გამოჩენილ თხზულებას ასი და ორასი მთარგმნელი ჰყავს, „კვალის" რედაქციამ ეგ როგორ არ იცის და თავისი მხრით შენიშვნა რატომ არ მისცა ახალგაზრდა კაცს, რომ თარგმანის მონოპოლია არავის შეუძლია დაიჭიროს?

დავშთები თქვენი პატივისმცემელი კ. მესხი.

გსთხოვ „კვალის" რედაქციას, ეს წერილი გადაბეჭდოს თავისს ჟურნალში.

—

ბ. რედაქტორო! ამ ბოლო დროს ხშირად ვკითხულობ „ივერიაში" წერილებს, რომლითაც ზოგიერთნი ვაჟბატონები აცხადებენ შემდეგს: ამა და ამ თხზულების თარგმნა დავიწყე და ყველას ვსთხოვ არავინ გადმოთარგმნოს ეს თხზულება ჩემს გარდაო!

უნდა მოგახსენოთ ამისთანა მოთხოვნილება, არსად და არას დროს არც გამიგონია, არც წამიკითხავს და არც მინახავს!!.. უზომო კადნიერებამდის უნდა მივიდეს ადამიანი, რომ ასეთის თხოვნით მიჰმართოს ვისმე, მეტადრე მთელს ერს!.. რადგანაც ეს მდაბიურად იმას ნიშნავს, რომ ამა და ამ თხზულებას ჩემსავით ვერავინ გაიგებს და ვერც ვერავინ გადასთარგმნისო!.. ჩემის ფიქრით, როდესაც სახელგანთქმულს ავტორს გამოუჩნდება არა ერთი, არამედ ორი, ათი და მეტი მთარგმნელი, მით უმეტესად დაუახლოვდება თარგმანთა მკითხველი საზოგადოება დედანის აზრს...

დღემდის ასე იყო და ასედაც უნდა დარჩეს ჩემის ფიქრით და თუ მაინცა-და-მაინც მე ვსცდები და ის ვაჟბატონები მართალ არიან, მაშინ ნება მიბოძეთ „ივერიის" შემწეობით შემდეგი გამოვუცხადო ქართველს საზოგადოებას: მე უკვე დავიწყე ფაუსტის თარგმნა ქართულს ენაზედ და ყველასა ვსთხოვ, დღეიდამ არამც თუ არავინ არ იფიქროს მისი თარგმნა, არამედ სანამდის მე ჩემი შრომა არ დავასრულო—სრულიად დაივიწყოს, თუ ოდესმე ყოფილა ფაუსტი და მისი ავტორი გეტე.

შრომანი.

## შემოწირულება.

—

**სოფ. ბრეძა.** ხშირად გაიგონებთ ჩვენს საზოგადოებაში გულ-წრფელად წარმოთქმულს აზრს, რომ ძველი ქართველი დედები აღარა გვყვანანო; აღარ არიანო, ამბობენ, ის ქართველი ქალები, რომელნიც შვილებს სამშობლოს უმზადებდნენ და საკუთარ სიყვარულს შვილისადმი საჭირო დროს ძამულის სიყვარულს შესწირავდნენ. ჩვენც ვეთანხმებით, რომ ეს სამწუხარო მოვლენა სრულიად მართალია; ხოლო თუ-კი გამოვარკვევთ ამ მოვლენის მიზეზებს, მაშინ ჩვენს დებს და დედებს ყოველი დანაშაულობა ასცილდებათ: დრომ მოიტანა და ისტორიულმა მიზეზებმა ჩააგდეს ქართველი ქალი ამ მდგომარეობაში, რომ მას არ შეუძლია ღირსეულად შეასრულოს წმინდა მოვალეობა სამშობლოსადმი. ამას თვითონ ქართველი ქალი გრძნობს და სცდილობს, როგორმე უშველოს თავისს საქმეს. ბევრი მაგალითები ამტკიცებენ უკანასკნელს მოსაზრებას, და მათ შორის ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ერთს.

23 ივლისს სოფ. ბრეძაში გამართეს ლატარია, რომლის წმინდა შემოსავალი დანიშნულია ქართველთა დედათა სკოლის ფონდის შესავსებლად. როგორც ინიციატივა, აგრეთვე ნივთების მოგვნის შრომა ეკუთვნით ჩვენის მხრის ახალგაზრდა ქალებს. ის ცხოველი მონაწილეობა, რომელიც ახალგაზრდა ქალებმა მიიღეს ლატარიის გამართვის დროს სრულებით გვარწმუნებს ჩვენ, რომ მათ კარგად აქვთ შეგნებული ნაკლი თავიანთ აღზრდისა და ხმარობენ შესაძლებელს ღონისძიებას, მომავალი თაობა მაინც ააშორონ ამ ნაკლსა. საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ლატარიის გამმართველებს და ღირსეული მადლობა დაიმსახურა ახალგაზრდა ქალებისა. განსაკუთრებულის მადლობის ღირსნი არიან: ნინა დავითის ასული მუსხელიშვილისა, როგორც დამწყე ამ საქმისა; კნეჟ. ბარბარე ვლადიმერის ასული ხერხეულიძისა და თ. ვლადიმერ ფალავანდიშვილი იმ მხურვალე მონაწილეობისათვის, რომელიც მათ მიიღეს ლატარიის გასამართავად.

გიგზავნით ლატარიის წმინდა შემოსავალს 58 მ. 42 კ. და გთხოვთ დანიშნულებისამებრ გარდასცეთ.

ვინმე სტუმართაგანი.

31 ივლისი, 1895 წ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა 31 ივლისს პეტერგოფიდგან კრასნოე სელოში წაბრძანდნენ.

იმის გამო რომ ხმა გავრცელდა, ვითომ სრულიად რუსეთის გამოფენის გახსნა ნიჟნი-ნოვგოროდში 1897 წლამდის გადიდებაო, ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ეს ხმა ყოველს სიმართლეს მოკლებულია და გამოფენა 1896 წელს გაიხსნებაო.

**ლონდონი.** ახალის პარლამენტის სხდომები დაიწყო. როგორც ხმა დადის, სამეფო სიტყვაში, რომელიც ხუთშაბათს იქმნება წაკითხული, არავითარი ახალი კანონპროექტები არ არის მოთავსებული და არც რამ საპოლიტიკო კითხვების შესახებ არის ნათქვამიო.

**მადრიდი.** ზოგიერთს პროვინციალურს ქალაქებში არეულობა მოხდა სათავდარიგო სამხედრო პირთა გაწვევის გამო კუბაზედ მომხდარ აჯანყების მიზეზით.

**ვაშინგტონი,** 31 ივლისი. აქაურს იაპონიის საელჩოს ატყობინებენ, რომ იაპონიის ელჩს პეკინში მოლაპარაკება აქვს სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ, რომლის ძალითაც იაპონიას ჩინეთში საკონსულო სამართლის უფლება ექმნება მინიჭებულიო.

**სოფია,** 1 აგვისტო. გუშინ დაბრუნდა სოფიაში პრინცი კობურგელი. მიტროპოლიტი კლიმენტი არ ყოფილა დახვედრის დროს.


# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდა გასასყიდად.

**სახელმძღვანელო**

ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის.

შედგენილი ფილიმონ ქორიძის მიერ.

ფასი წიგნისა სამი აბაზი.

დამზღვევი საზოგადოება

**„იაკორი"**

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის ნამდვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სასახლის ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში (100—721—ა)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება

**„როსსია"**

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემეუწოდაასადგურებზედ. 50—6—46


Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Августа 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.